

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N003/18¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თამარ წულუკიძე (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატ „ბ“-ს წინააღმდეგ სასამართლოს სარჩელით მიმართა ყოფილმა კლიენტმა იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც საადვოკატო მომსახურებას ახორციელებდა ზემოხსენებული ადვოკატი. ადვოკატ „ბ“-ს სურს სოციალური ქსელის მეშვეობით საჯარო გახადოს განსახილველი დავის საკითხები. აღნიშნულზე თანხმობას აცხადებს ყოფილი კლიენტი და მზადაა, მოცემული სადავო საკითხის ირგვლივ ადვოკატთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საჯარო დისკუსიებში. დაარღვევს თუ არა ადვოკატი „ბ“ ეთიკურ ვალდებულებებს, იმ შემთხვევაში, თუ ის ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო დავას გახდის საჯაროს?

ანალიზი

პროფესიული ვალდებულება ადვოკატს, კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდგომაც აკისრია და ის ვალდებულია დაიცვას საადვოკატო საქმიანობის დროს მიღებული პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 7.ა). შესაბამისად, კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა არ არის შეზღუდული დროში. როდესაც პირი იურიდიული რჩევის მიღების მიზნით მიდის ადვოკატთან და ანდობს მას საქმის დეტალებს, ის იღებს იურიდიულ კონსულტაციას, რომლის დროსაც ადვოკატის მიერ მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა პროფესიულ საიდუმლოებად. ადვოკატს პროფესიული ეთიკის კოდექსი უკრძალავს თავისი კლიენტის წინააღმდეგ მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას და ამით კლიენტის ინტერესებისთვის ზიანის მიყენებას. კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან (აპკ-ის მუხლი 4.1). ადვოკატის ვალდებულებაა პირადი ინტერესების და მესამე პირის მიზნებისთვის არ გამოიყენოს აღნიშნული პროფესიული საიდუმლოება, გარდა გამონაკლი შემთხვევებისა, როდესაც კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებაზე, კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს, ხოლო შემდეგ ინფორმაციის გაცემისას ადვოკატი ვალდებულია წარმოადგენოს კლიენტის შესაბამისი თანხმობა. ამდენად, რიგ შემთხვევებში დასაშვებია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება. აღნიშნულ საქმეში თავად ყოფილმა კლიენტმა წამოიწყო დავა იმ საქმის ირგვლივ, რაზეც ადვოკატი მას ადრე უწევდა იურიდიულ მომსახურებას. ზოგადად, კლიენტის საქმის თაობაზე მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი გასაჯაროება წარმოადგენს ადვოკატის მიერ კლიენტის პირადი ინტერესების მიზნებისთვის პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებას. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა კლიენტის თანახმა გამჟღავნდეს კონფიდენციალური ინფორმაცია და ის მზად არის თავად იყოს ჩართული ამ პროცესში. შესაბამისად ადვოკატს აქვს წინასწარი თანხმობა და შეუძლია გასცეს აღნიშნული ინფორმაცია, მაგრამ, უნდა დაიცვას ბალანსი და არ გაასაჯაროოს ისეთი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია რაზეც არ ექნება კლიენტის თანხმობა.

დასკვნა

ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე მიღებული კონკრეტული ინფორმაცია, როდესაც კლიენტი ამაზე თანხმობას აცხადებს და თავად აპირებს საქმის შესახებ საჯაროდ ჩაერთოს ადვოკატის პირისპირ დისკუსიაში. ადვოკატმა ასეთ დროს,

¹ <https://gba.ge/pdf/5c17c6b112c5b.pdf/5c17c6b112c5b.pdf>

მნიშვნელოვანია დაიცვას ბალანსი და არ გაამჟღავნოს ისეთი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც დაარღვევს აპეკ-ის 4.4 მუხლს.